

## **რომელია 1995 წელს გამოშვებული 50 თეთრის ნომინალის მონეტა?**

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2017 წლის 4 ოქტომბრის N 5 დადგენილების შესაბამისად, 2017 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, გადახდის კანონიერი საშუალების სტატუსი აღარ ექნება მიმოქცევაში 1995 წელს გამოშვებულ 50 თეთრის ნომინალის მონეტას, ე.წ. ოქროსფერ 50-თეთრიან მონეტას, რომლის ავერსზე დატანილია - გრიფონის რელიეფური გამოსახულება, მის ქვეშ ციფრი „50“ და წარწერა – „თეთრი“, რევერსზე - ბორჯღალი, ციფრები წარწერები: „საქართველოს რესპუბლიკა“, „REPUBLIC OF GEORGIA“.

მოჭრის თარიღი – 1993 წელი; წონა: 2,5 გ; დიამეტრი: 19 მმ; სისქე: 1,4 მმ ; შემადგენლობა: სპილენძის შენადნობი ოქროსფერი

## **რას ნიშნავს ფულის ნიშნის გადახდის კანონიერი საშუალების სტატუსის დაკარგვა?**

ფულის ნიშნისთვის გადახდის კანონიერი საშუალების სტატუსის დაკარგვა ფულისხმობს მიმოქცევიდან მათ ამოღებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ სტატუსის დაკარგვის დღიდან ფულის ნიშანი აღარ გამოიყენება ნაღდი ფულით გადახდის ოპერაციებში და სავაჭრო და ნაღდი ფულით მომსახურების სხვა ობიექტებს აღარ ეკისრებათ ანგარიშსწორებისას მათი მიღების ვალდებულება.

## **რატომ გახდა საჭირო 50 თეთრის ნომინალის ოქროსფერი მონეტების მიმოქცევიდან ამოღება?**

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, 2006 წლიდან მიმოქცევაში გაუშვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დამზადებული 50 თეთრის ნომინალის ახალი მონეტა, რომელიც წარმატებით დამკვიდრდა მიმოქცევაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, როგორც გაყალბებისაგან დაცვის, ისე ტექნიკური თვალსაზრისით აუცილებელია, მიმოქცევიდან ამოღებულ იქნეს თავდაპირველი ემისიის ე.წ. ოქროსფერი 50-თეთრიანი მონეტები.

## **რამდენად საიმედოდ არის დაცული 50 თეთრის ნომინალის ახალი მონეტა?**

50 თეთრის ნომინალის ახალი მონეტა, რომელსაც აქვს წინა მონეტისგან სრულიად განსხვავებული დიზაინი, პარამეტრები და შემადგენლობა, საკმაოდ საიმედოდ არის დაცული. იგი შედგება სპილენძ-ნიკელისაგან, არის ვერცხლისფერი და მისი დიამეტრია 24 მმ, ხოლო წონა 6.5 გ- ია. ავერსზე გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო გერბი, წარწერა „საქართველო“ და გამოშვების წელი „2006“, ხოლო რევერსზე - ნომინალის აღმნიშვნელი ციფრი „50“ და წარწერა „თეთრი“.

გაყალბებისგან დაცვის თვალსაზრით მონეტის ორივე მხარეს მიკროელემენტის სახით დატანილია ძველი კოლხური თეთრის ანალოგი–ლომის თავის გამოსახულება, ხოლო მონეტის წიბო დაღარულია და ჩატვიფვრულია ქართულ–ინგლისური წარწერა „საქართველო Georgia“ და ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

## **როგორ მოვიქცე, თუ 2017 წლის 31 დეკემბრის შემდეგ აღმომაჩნდა 50 თეთრის ნომინალის ოქროსფერი მონეტა?**

2018 წლის 1 იანვრიდან, 50 თეთრის ნომინალის (ოქროსფერი) ძველი მონეტა აღარ გამოიყენება გადახდის კანონიერ საშუალებად და შესაბამისად მისი ნომინალური

ღირებულებით გამოცვლა შესაძლებელი იქნება ნებისმიერ კომერციულ ბანკსა და საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრში, ხოლო 2019 წლის 1 იანვრიდან - მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრში, რომლის მისამართია: თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი 72. სამუშაო საათები: ყოველდღე შაბათ - კვირის გარდა, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე (შესვენება 13:00 – 14:00 საათამდე)

**აქვთ თუ არა სავაჭრო ობიექტებს უფლება, ანგარიშსწორებისას უარი განაცხადონ მიმოქცევიდან ამოღებული ოქროსფერი 50-თეთრიანი მონეტის მიღებაზე?**

50 თეთრის ნომინალის (ოქროსფერი) მონეტა 2018 წლის 1-ლი იანვრიდან კარგავს გადახდის კანონიერი საშუალების სტატუსს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ თარიღიდან სავაჭრო და ნაღდი ფულით მომსახურების ობიექტებს აღარ აქვთ ანგარიშსწორების მიზნით მათი მიღების ვალდებულება.

**დამჭირდება თუ არა პირადობის დამადასტურებელი საიდენტიფიკაციო მონაცემები ძველი 50 თეთრის (ოქროსფერი) ნომინალის მონეტის გამოცვლისას?**

როგორც ნებისმიერი, ამჟამად არსებული გაცვლის ოპერაციისას, ასევე 1995 წელს მიმოქცევაში გაშვებული 50 თეთრის ნომინალის (ოქროსფერი) მონეტის კომერციულ ბანკებში ან საქართველოს ეროვნულ ბანკში გამოცვლისას პირის იდენტიფიცირება განხორციელდება „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

**სად შემიძლია მივიღო დაწვრილებითი ინფორმაცია ლარის ბანკნოტებთან და მონეტებთან დაკავშირებით?**

ლარის ბანკნოტებთან და მონეტებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე: [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge) (ლარის განახლებულ ბანკნოტებთან დაკავშირებით - [www.ganakhlebulilari.ge](http://www.ganakhlebulilari.ge)).

დამატებითი კითხვების შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ცხელი ხაზის მეშვეობით 2406406, ან მოგვმართოთ ელ. ფოსტით მისამართზე: [info@moneymuseum.nbg.gov.ge](mailto:info@moneymuseum.nbg.gov.ge)